

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №88-№01-34/5

2015 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ

პატიმრობის კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებთ:

მუხლი 1

განისაზღვროს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები №1 დანართის და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები №2 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისი №87-83/ნ ერთობლივი ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი
საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

კახა კახიშვილი

დავით სერგეენკო

დანართი №1

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები
თავი I
ზოგადი დებულებები**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დანართი განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) პენიტენციურ დაწესებულებებში (შემდგომში - დაწესებულება) მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა (შემდგომში - ბრალდებული/მსჯავრდებული) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების ორგანიზებისათვის აუცილებელ ნორმებს.

2. ამ ნორმების დაცვა სავალდებულოა დაწესებულებებისათვის, სამინისტროს შესაბამისი



სტრუქტურული ქვედანაყოფების მოსამსახურეთათვის და სამინისტროს იმ კონკრეტული იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ დაწესებულებების კვებით მომსახურებას.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვების რეჟიმი განსაზღვრავს დღის განმავლობაში კვების ჯერადობას, მათ შორის, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული შუალედების დაცვას, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დამტკიცებული ნორმების მიზანმიმართულ განაწილებას დღისა და კვირის განმავლობაში და საკვების მიღებას მენიუ - განრიგით მკაცრად განსაზღვრული დროის მონაკვეთში.
2. განსაკუთრებულ სიტუაციებსა და პირობებში დასაშვებია დადგენილი კვების რეჟიმის შეცვლა და ახლის შემუშავება სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით.

მუხლი 3. კვების ორგანიზება დაწესებულებაში

1. დაწესებულებაში კვების ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაბალანსებულობისა (ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების თანაფარდობა) და კალორიულობის დადგენილ ნორმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულებაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის შენარჩუნება. აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება.
2. პენიტენციურ დაწესებულებაში საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს.
3. განსაკუთრებული (დიეტური) კვების რეჟიმის საჭიროების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ექიმის მიერ სამედიცინო ჩვენების შესაბამისად დადგენილი სამკურნალო კვებისათვის აუცილებელი პროდუქტებით, ამ ბრძანების დანართის №1-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.
4. ექიმი ვალდებულია, თვეში არანაკლებ ერთხელ, შეამოწმოს ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის განსაკუთრებული (დიეტური) კვების რეჟიმის საჭიროება და მიიღოს გადაწყვეტილება განსაკუთრებული (დიეტური) კვების რეჟიმის შეწყვეტის ან ძალაში დატოვების შესახებ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ერთობლივი ბრძანება №83/№01-22/5 - ვებგვერდი, 27.06.2016 წ.

თავი II

კვების რეჟიმები და დაგეგმვა

მუხლი 4. დღიური კვება

1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიური კვება უნდა იყოს სამჯერადი. შუალედი საკვების მიღებათა შორის არ უნდა აღემატებოდეს 5 – 6 საათს.
2. სამჯერადი კვების მენიუ – განრიგის შედგენისას დაუშვებელია დღიურ მენიუში ჩაირთოს ერთნაირი დასახელების კერძები.
3. კვების დაგეგმვისას რეკომენდებულია ვახშამი დაიგეგმოს გასაყრისის გამოცხადებამდე 2-3 საათით ადრე.
4. საკვებით მიღებულ ენერგიასა და მის ხარჯვას შორის პროპორციის გათვალისწინებით დასაშვებია დღიურ რაციონში ენერგეტიკული მაჩვენებელი, ამ ბრძანებით დამტკიცებული ულუფის სასურსათო ნორმების მიხედვით, მერყეობდეს 960 კკალ-დან 3390 კკალ-მდე.
5. დღიური რაციონი კალორიულობის მიხედვით უნდა იქნეს გადანაწილებული შემდეგი მოთხოვნების დაცვით:



ა) საუზმე 30 – 35%;

ბ) სადილი – 40 – 45%;

გ) ვახშამი – 30 – 20%.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ერთობლივი ბრძანება №83/№01-22/ნ - ვებგვერდი, 27.06.2016 წ.

მუხლი 5. საუზმე

1. საუზმის მოსამზადებლად მიზანშეწონილია ცილებითა და ცხიმებით მდიდარი პროდუქტების გამოყენება.

2. საუზმეზე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კვების მინიმალური ნორმებით დადგენილი ხორცის ან თევზის ჩართვა კერძში გარნირთან ერთად. გარნირად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს – მაკარონი ან მისი ნაწარმი, წიწიბურის ან ბრინჯის ფაფა, ბოსტნეულის გარნირი. საუზმეზე აუცილებელია ასევე ჩაის ან სხვა ცხელი სასმელის გათვალისწინება.

მუხლი 6. სადილი

სადილი, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს საუზმეულისა (ცივი კერძის) და ცხელი კერძის (კვირაში არანაკლებ 4 – 5 – ჯერ – წვნიანი კერძი), ან ორი დასახელების ცხელი კერძისგან (მათგან ერთი – წვნიანი კერძი).

მუხლი 7. ვახშამი

ვახშამი უნდა იყოს სადილთან და საუზმესთან შედარებით უფრო მსუბუქი და შეიცავდეს ადვილად მოსანელებელ კერძს და ჩაის.

მუხლი 8. მენიუ - განრიგი

1. დეპარტამენტის დირექტორი ამტკიცებს 4 სახის (სეზონის შესაბამის) ყოველკვირეულ მენიუ-განრიგებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში.

2. ულუფის დღიური განრიგის შემდგენელ პირთა შორის აუცილებელია სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლისა და უფროსი მზარეულის (მზარეულ-ინსტრუქტორი) მონაწილეობა.

3. მენიუ - განრიგი, როგორც წესი, უნდა შედგეს ერთი კვირის ვადისთვის ყოველდღიური ნორმების გათვალისწინებით, სამ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (დედანი) ინახება პენიტენციურ დეპარტამენტში, მეორე დაწესებულებაში, ხოლო მესამე ეგზემპლარი უნდა გამოიკრას დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეში, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გაცნობის მიზნით.

4. მენიუ - განრიგის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დადგენილი კვების რეჟიმი და სასურსათო ნორმები;

ბ) სასურსათო საწყობში არსებული პროდუქტების ასორტიმენტი და რაოდენობა;

გ) სეზონის თავისებურებები;

დ) დამატებითი პროდუქტების გამოყენების შესაძლებლობა;–

ე) მზარეულების რაოდენობა და კვალიფიკაცია;

ვ) სასადილოს აღჭურვილობა ტექნოლოგიური და სამაცივრო დანადგარებით;



ზ) ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია, შეძლებისდაგვარად იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სურვილები და მოთხოვნები მათი სამედიცინო ჩვენებების, აგრეთვე, რელიგიური ან სხვა ნიშნების მიხედვით.

5. მენიუ - განრიგის შედგენის მეთოდიკა გულისხმობს ერთი კვირის ვადისთვის კერძების სწორ შერჩევას და თითოეულ მიღებაზე მათ სწორ გადანაწილებას.

6. ერთი კვირისათვის შედგენილ მენიუ - განრიგში ერთი დასახელების კერძის ჩართვა დასაშვებია არა უმეტეს 2-3 ჯერ.

7. მენიუ - განრიგის შედგენისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ბურღულეულისა და ბოსტნეულის გარნირების მონაცვლეობა.

8. მენიუ - განრიგში კერძების დასახელება შეტანილი უნდა იქნეს გარკვევით, სრულად, ყოველგვარი შემოკლებების გარეშე. მაგალითად: მოხარშული ხორცი წიწიბურას ფაფით, მოშუშული თევზი კარტოფილის პიურეთი და ა.შ.

9. მენიუ - განრიგში უნდა ჩაირთოს კვირის განმავლობაში დადგენილი პროდუქტები მთლიანად (ჩანაცვლების ნორმების გათვალისწინებით).

10. კვების მრავალფეროვნების მისაღწევად ცალკეულ დღეებში შესაძლებელია პროდუქტების შეცვლის დადგენილი ნორმების გათვალისწინება და ერთი პროდუქტის შეცვლა მეორე პროდუქტით.

11. დღიურ რაციონში პროდუქტების სწორი გადანაწილებისათვის და მენიუ-განრიგის იოლი შედგენისათვის რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს პროდუქტების უკვე დადგენილი მუდმივი ჯამური ნაკრები, როგორც ცივი საუზმეულისათვის, ასევე პირველი თუ მეორე თავი კერძებისათვის.

მუხლი 9. ხორცეულისა და თევზეულის კერძები

1. საუზმეზე ხორციანი კერძის მოსამზადებლად რეკომენდებულია ხორცის ჩაშუშვა ან მოხარშვა, ხოლო სადილზე დასაშვებია მომზადდეს შემწვარი ხორცის კერძი ხორცის ჩახოხბილი, კატლეტი ან სხვა.

2. თევზეულის კერძები უნდა მომზადდეს ასევე ფართო ასორტიმენტში: თევზი შემწვარი, მოშუშული, გამომცხვარი და სხვა. თევზეულის კერძებისათვის რეკომენდებულია ბოსტნეულის გარნირების გამოყენება.

3. ხორცეულისა და თევზეულის კერძები კვების თითოეულ ჯერზე, ან თითოეულ დღეზე რეკომენდებულია მომზადდეს მონაცვლეობით.

4. ბოსტნეულის ან ვინეგრეტებისგან წარმოდგენილ ცივ საუზმეულთან ერთად შესაძლებელია დამარილებული ქაშაყის გამოყენება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შემცირდეს თევზის სხვა კერძის რაოდენობა.

5. იკრძალება დამარილებული ქაშაყის გამოყენება თევზეულის კერძების მოსამზადებლად.

6. შენაცვლებადი ცხრილების გამოყენების შემთხვევაში, მენიუ-განრიგში ხორცის კერძების შეტანა უნდა დაიგეგმოს არანაკლებ კვირაში 3-ჯერ, თევზეულის კერძებისა კი – არანაკლებ კვირაში 2- ჯერ.

7. მეორე კერძის გარნირად რეკომენდებულია მომზადდეს არა ბლანტი, არამედ ფანტია ფაფები.

მუხლი 10. სხვადასხვა კერძები და პროდუქტები

1. პურის დაჭრილი სახით გაცემის შემთხვევაში, ჭვავის პურის კმაყოფაზე მყოფ პირთა ულუფაში მთლიანი პური უნდა გადანაწილდეს შემდეგი სახით: საუზმეზე – 30%; სადილზე – 45 % და ვახშამზე – 25%; ხოლო I ხარისხის ფქვილისგან საუზმეზე – 35 %, სადილზე – 30%, ვახშამზე – 35%; რეკომენდებულია ასევე პურის გაცემა მოხდეს მთლიანი რაოდენობით.



2. სასადილოში კვირაში ერთხელ ან ორჯერ რეკომენდებულია საკონდიტრო ნაწარმის გამოცხობა. ასეთ შემთხვევაში ულუფით გათვალისწინებული ხორბლის პური (I ხარისხის ფქვილისაგან) იცვლება ამავე ხარისხის ფქვილით (ჩანაცვლებადი ცხრილების გამოყენებით).

3. ხორბლის ფქვილი გამოიყენება I თავი კერძის, სოუზის მოსამზადებლად, ასევე თევზის შეწვისას თევზის ნაჭრების ფქვილში ამოსავლებად.

4. ბრინჯი, რომელიც გაიცემა ბურღულეულის სანაცვლოდ, რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს ხორცეულის კერძებისათვის (სადილზე კვირაში 2-3 ჯერ), ასევე წვნიანებისთვის.

5. კვების მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად რეკომენდებულია ბოსტნეულის, ბურღულეულისა და პარკოსნების ერთდროული გამოყენება (კომბინირებული კერძები).

მუხლი 11. ულუფის გამოსავალი

1. კვებაში მზა კერძების, ხორციანი და თევზის ულუფების გამოსავლის განსაზღვრისთვის გამოიყენება პროდუქტების სხვადასხვა ტექნოლოგიური დამუშავებისას დადგენილი საშუალო ნორმები.

2. მეორე კერძის გამოსავლის პროდუქტების დღიურ განრიგში აღინიშნება როგორც კერძის საერთო მასით (ხორცისა და თევზის ულუფა გარნირთან და/ან სოუზთან ერთად), ასევე ცალკეული კომპონენტების მასით. მაგალითად: მოხარშული ხორცის ერთი ულუფის მასა თუ უნდა იყოს 48გ, წიწიბურას ფაფისა – 240გ და სოუზის – 50გ, დღიურ განრიგში მეორე კერძის გამოსავალი აღინიშნება შემდეგი სახით: მთლიანი მასაა 48+240+50=338გ.

მუხლი 12. სადღესასწაულო დღეები

სადღესასწაულო დღეებში პენიტენციურ დეპარტამენტის დირექტორთან შეთანხმებით შეიძლება მომზადდეს კერძი ისეთი პროდუქტისაგან, რომელიც არ არის გათვალისწინებული კვების ნორმებით.

მუხლი 13. ულუფის სასურსათო ნორმები

1. ულუფის სასურსათო ნორმებია:

ა) დაბალი რისკისა და ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

№	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	10,00	10,00	1,00	0,13	6,90	32,77
პარკოსნები							
3	ლობიო	45,00	45,00	9,36	0,90	20,97	129,42
4	ბარდა	10,00	10,00	2,00	0,20	4,80	29,00



ბურღულეული							
5	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
6	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
7	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	15,00	15,00	1,80	0,93	9,30	52,77
8	ბრინჯი	35,00	35,00	2,59	1,10	21,81	107,47
მაკარონის ნაწარმი							
9	მაკარონი	20,00	20,00	1,83	0,16	12,00	56,76
10	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
11	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	60,00	45,00	8,37	7,79		103,55
12	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79
13	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზული							
14	თევზის ფილე	40,00	36,80	5,70	3,20		51,57
რძე და რძის პროდუქტები							
15	რძე შესქელებული	17,20	17,20	1,20	1,40	1,69	24,12
16	მაწონი	57,00	57,00	1,60	1,82	2,68	33,52
17	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	15,00	15,00	1,50	3,00	0,42	34,68
18	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	50,00	50,00	1,30	5,00	1,90	57,80
ცხიმი							
19	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
20	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	40,00	40,00		29,03		261,25
ბოსტნეული							



21	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
22	კომბოსტო	60,00	45,00	0,84		1,87	10,85
23	ჭარხალი	20,00	18,00	0,30		1,80	8,40
24	სტაფილო	45,00	36,00	0,64		3,96	18,39
25	ხახვი	34,00	30,60	0,48		2,91	13,56
26	ნიორი	1,00	0,92				0,00
27	მწვანილი	12,00	10,20				0,00
ხილი							
28	ხილი (სხვადასხვა)	100,00	86,00			10,32	41,28
29	ხილვაფა	5,70	5,70			4,00	15,98
30	ხმელი ხილი (ჩირი, ასკილი)	12,00	12,00	0,19		4,80	19,97
სხვა							
31	კვერცი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
32	შაქარი	50,00	50,00			49,50	198,00
33	მარილი	7,00	7,00				0,00
34	ჩაი	2,00	2,00				0,00
35	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
36	სანელებლები	0,50	0,50				0,00
37	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
სულ		-	-	106,42	88,23	491,63	3186,20

ბ) დახურული ტიპისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

№	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ		ენერგეტიკული ღირებულება



		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	კკალ
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	5,00	5,00	0,50	0,07	3,45	16,39
3	საფანელი	3,00	3,00	0,24	0,03	1,50	7,23
პარკოსნები							
4	ლობიო	45,00	45,00	9,36	0,90	20,97	129,42
5	ბარდა	10,00	10,00	2,00	0,20	4,80	29,00
ბურღულეული							
6	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
7	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
8	შერიის ფანტელი "ჰერკულესი"	15,00	15,00	1,80	0,93	9,30	52,77
9	ბრინჯი	35,00	35,00	2,59	1,10	21,81	107,47
მაკარონის ნაწარმი							
10	მაკარონი	20,00	20,00	1,83	0,16	12,00	56,76
11	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
12	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	60,00	45,00	8,37	7,79		103,55
13	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79
14	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
15	თევზის ფილე	40,00	36,80	5,70	3,20		51,57
რძე და რძის პროდუქტები							
16	რძე შესქელებული	17,20	17,20	1,20	1,40	1,69	24,12



17	მაწონი	57,00	57,00	1,60	1,82	2,68	33,52
18	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	15,00	15,00	1,50	3,00	0,42	34,68
19	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	40,00	40,00	1,04	4,00	1,52	46,24
ცხიმი							
20	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
21	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	30,00	30,00		21,77		195,94
ზოსტნეული							
22	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
23	კომბოსტო	60,00	45,00	0,84		1,87	10,85
24	ჭარხალი	15,00	13,50	0,22		1,35	6,30
25	სტაფილო	64,00	51,20	0,91		5,63	26,15
26	ხახვი	34,00	30,60	0,48		2,91	13,56
27	ნიორი	1,00	0,92				0,00
28	მწვანელი	12,00	10,20				0,00
ხილი							
29	ხილი (სხვადასხვა)	100,00	86,00			10,32	41,28
30	ხილფაფა	5,70	5,70			4,00	15,98
31	ხმელი ხილი (ჩირი, ასკილი)	12,00	12,00	0,19		4,80	19,97
სხვა							
32	კვერცხი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
33	შაქარი	50,00	50,00			49,50	198,00
34	მარილი	7,00	7,00				0,00
35	ჩაი	2,00	2,00				0,00



36	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
37	სანელებლები	0,50	0,50				0,00
38	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
სულ		-	-	106,09	79,93	490,52	3105,84

გ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

№	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	7,00	7,00	0,70	0,09	4,83	22,94
3	საფანელი	3,00	3,00	0,24	0,03	1,50	7,23
პარკოსნები							
4	ლობიო	45,00	45,00	9,36	0,90	20,97	129,42
5	ბარდა	10,00	10,00	2,00	0,20	4,80	29,00
ბურღულეული							
6	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
7	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
8	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	15,00	15,00	1,80	0,93	9,30	52,77
9	ბრინჯი	35,00	35,00	2,59	1,10	21,81	107,47
მაკარონის ნაწარმი							
10	მაკარონი	12,00	12,00	1,10	0,10	7,20	34,06
11	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
12	საკონლოს ხორცი (I კატეგორიის)	70,00	52,50	9,77	9,08		120,80
13	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79
14	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
15	თევზის ფილე	35,00	32,20	4,98	2,80		45,12



რძე და რძის პროდუქტები							
16	რძე შესქელებული	17,20	17,20	1,20	1,40	1,69	24,12
17	მაწონი	57,00	57,00	1,60	1,82	2,68	33,52
18	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	21,50	21,50	2,15	4,30	0,60	49,71
19	არაყანი (ან არაყნისმაგვარი)	50,00	50,00	1,30	5,00	1,90	57,80
20	ყველი წათხის	14,00	8,60	1,10	1,23		15,46
ცხიმები							
21	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
22	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	35,00	35,00		25,40		228,60
ბოსტნეული							
23	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
24	კომბოსტო	90,00	67,50	1,26		2,81	16,28
25	ჭარხალი	30,00	27,00	0,45		2,70	12,59
26	სტაფილო	80,00	64,00	1,13		7,04	32,69
27	ხახვი	34,00	30,60	0,48		2,91	13,56
28	ნიორი	1,00	0,92				0,00
29	მწვანელი	15,00	12,75				0,00
ხილი							
30	ხილი (სხვადასხვა)	100,00	86,00			10,32	41,28
31	ხილფაფა	5,70	5,70			4,00	15,98
32	ხმელი ხილი (ჩირი, ასკილი)	12,00	12,00	0,19		4,80	19,97
სხვა							
33	კვერცხი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
34	ნამცხვარი	30,00	30,00	2,40	2,40	21,00	115,20
35	შაქარი	40,00	40,00			39,60	158,40
36	მარილი	7,00	7,00				0,00
37	ჩაი	2,00	2,00				0,00
38	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
39	სანელებლები	0,50	0,50				0,00
40	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
სულ		-	-	111,52	90,35	502,45	3269,07



დ) ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

№	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	5,00	5,00	0,50	0,07	3,45	16,39
3	საფანელი	3,00	3,00	0,24	0,03	1,50	7,23
პარკოსნები							
4	ლობიო	45,00	45,00	9,36	0,90	20,97	129,42
5	ბარდა	10,00	10,00	2,00	0,20	4,80	29,00
ბურღულეული							
6	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
7	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
8	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	15,00	15,00	1,80	0,93	9,30	52,77
9	ბრინჯი	35,00	35,00	2,59	1,10	21,81	107,47
მაკარონის ნაწარმი							
10	მაკარონი	12,00	12,00	1,10	0,10	7,20	34,06
11	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
12	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	35,00	26,25	4,88	4,54		60,40
13	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79
14	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
15	თევზის ფილე	40,00	36,80	5,70	3,20		51,57
რძე და რძის პროდუქტები							
16	რძე შესქელებული	17,20	17,20	1,20	1,40	1,69	24,12
17	მაწონი	57,00	57,00	1,60	1,82	2,68	33,52
18	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	21,50	21,50	2,15	4,30	0,60	49,71
19	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	50,00	50,00	1,30	5,00	1,90	57,80



ცხიმი							
20	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
21	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	30,00	30,00		21,77		195,94
ზოსტნეული							
22	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
23	კომბოსტო	60,00	45,00	0,84		1,87	10,85
24	ჭარხალი	15,00	13,50	0,22		1,35	6,30
25	სტაფილო	64,00	51,20	0,91		5,63	26,15
26	ხახვი	27,00	24,30	0,38		2,31	10,77
27	ნიორი	1,00	0,92				0,00
28	მწვანილი	12,00	10,20				0,00
ხილი							
29	ხილი (სხვადასხვა)	100,00	86,00			10,32	41,28
30	ხილფაფა	5,70	5,70			4,00	15,98
31	ხმელი ხილი (ჩირი, ასკილი)	12,00	12,00	0,19		4,80	19,97
სხვა							
32	კვერცხი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
33	შაქარი	40,00	40,00			39,60	158,40
34	მარილი	7,00	7,00				0,00
35	ჩაი	2,00	2,00				0,00
36	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
37	სანელებლები	0,50	0,50				0,00
38	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
სულ		-	-	102,68	78,93	475,78	3024,19

ე) მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

N	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	300,00	300,00	23,70	3,00	148,80	717,00



2	პური ჭკვავის ან რუხი	200,00	200,00	13,20	2,40	68,40	348,00
3	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	10,00	10,00	1,00	0,13	6,90	32,77
პარკოსნები							
4	ლობიო	45,00	45,00	9,36	0,90	20,97	129,42
ბურღულეული							
5	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
6	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
7	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	15,00	15,00	1,80	0,93	9,30	52,77
8	ბრინჯი	18,20	18,20	1,35	0,57	11,34	55,88
მკარონის ნაწარმი							
9	მკარონი	12,00	12,00	1,10	0,10	7,20	34,06
10	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
11	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	70,00	52,50	9,77	9,08		120,80
12	ქათმის ხორცი	30,00	21,60	4,00	3,43		46,89
თევზეული							
13	თევზის ფილე	70,00	64,40	9,97	5,60		90,24
რძე და რძის პროდუქტები							
14	რძე ნატურალური	200,00	200,00	5,60	6,40	9,40	117,60
15	მაწონი	50,00	50,00	1,40	1,60	2,35	29,40
16	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	15,00	15,00	1,50	3,00	0,42	34,68
17	არაყანი (ან არაყნისმაგვარი)	30,00	30,00	0,78	3,00	1,14	34,68
ცხიმი							
18	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
19	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	35,00	35,00		25,40		228,60
ბოსტნეული							
21	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
21	კომბოსტო	100,00	75,00	1,40		3,12	18,09
22	ჭარხალი	40,00	36,00	0,60		3,60	16,79
23	სტაფილო	90,00	72,00	1,27		7,92	36,78



24	ხახვი	43,00	38,70	0,61		3,68	17,15
25	ნიორი	1,00	0,92				0,00
26	მწვანელი	25,00	21,25				0,00
ხილი							
27	ხილი (სხვადასხვა)	100,00	86,00			10,32	41,28
28	ხმელი ხილი (ჩირი, ასკილი)	12,00	12,00	0,19		4,80	19,97
სხვა							
29	კვერცხი (ცალობით)	0,86	41,28	5,24	4,75		63,70
30	შაქარი	30,00	30,00			29,70	118,80
31	მარილი	5,00	5,00				0,00
32	ჩაი	2,00	2,00				0,00
33	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
34	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
35	საფუარი	0,30	0,30				0,00
	სულ	-	-	106,75	85,04	431,17	2917,01

შენიშვნა: ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას ექიმის დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება შეეცვალოს ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს საკვების ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება.

ვ) დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

N	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	300,00	300,00	23,70	3,00	148,80	717,00
2	პური ჭვავის ან რუხი	200,00	200,00	13,20	2,40	68,40	348,00
3	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	10,00	10,00	1,00	0,13	6,90	32,77
ბურღულეული							
4	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
5	წიწიბურა	45,00	45,00	4,85	1,41	25,16	132,74
6	შვრის ფანტელი "პერკულესი"	30,00	30,00	3,60	1,86	18,60	105,54
7	ბრინჯი	18,20	18,20	1,35	0,57	11,34	55,88



მაკარონის ნაწარმი							
8	მაკარონი	12,00	12,00	1,10	0,10	7,20	34,06
9	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
10	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	120,00	90,00	16,74	15,57		207,09
11	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79
თევზი							
12	თევზის ფილე	35,00	32,20	4,98	2,80		45,12
რძე და რძის პროდუქტები							
13	რძე ნატურალური	200,00	200,00	5,60	6,40	9,40	117,60
14	მაწონი	50,00	50,00	1,40	1,60	2,35	29,40
15	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	50,00	50,00	5,00	10,00	1,40	115,60
16	არაყანი (ან არაყნისმაგვარი)	30,00	30,00	0,78	3,00	1,14	34,68
17	ყველი წათხის	14,00	8,60	1,10	1,23		15,46
ცხიმი							
18	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
19	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	40,00	40,00		29,03		261,25
ბოსტნეული							
20	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
21	ჭარხალი	40,00	36,00	0,60		3,60	16,79
22	სტაფილო	90,00	72,00	1,27		7,92	36,78
23	ხახვი	43,00	38,70	0,61		3,68	17,15
24	ნიორი	1,00	0,92				0,00
25	მწვანილი	25,00	21,25				0,00
ხილი							
26	ხილი (სხვადასხვა)	200,00	172,00			20,64	82,56
სხვა							
27	კვერცხი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
28	თაფლი	50,00	50,00	0,15		41,20	165,40
29	შაქარი	40,00	40,00			39,60	158,40



30	მარილი	4,00	4,00				0,00
31	ჩაი	2,00	2,00				0,00
32	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
33	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
34	საფუარი	0,30	0,30				0,00
სულ		-	-	106,04	101,77	475,66	3242,69

შენიშვნა: ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას ექიმის დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება შეეცვალოს ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს საკვების ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება.

ზ) ორსულ და მეძუძურ ქალთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

N	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	10,00	10,00	1,00	0,13	6,90	32,77
3	საფანელი	3,00	3,00	0,24	0,03	1,50	7,23
პარკოსნები							
4	ლობიო	22,50	22,50	4,68	0,45	10,49	64,71
5	ბარდა	10,00	10,00	2,00	0,20	4,80	29,00
ბურღულეული							
6	მანანის ბურღული	16,00	16,00	1,80	0,14	10,83	51,78
7	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
8	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	30,00	30,00	3,60	1,86	18,60	105,54
9	ბრინჯი	18,20	18,20	1,35	0,57	11,34	55,88
მკარონის ნაწარმი							
10	მკარონი	12,00	12,00	1,10	0,10	7,20	34,06
11	ვერმიშელი	11,00	11,00	1,00	0,10	7,00	32,87
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
12	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	100,00	75,00	13,95	12,98		172,58
13	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79



14	სოსისო	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
15	თევზის ფილე	35,00	32,20	4,98	2,80		45,12
რძე და რძის პროდუქტები							
16	რძე ნატურალური	200,00	200,00	5,60	6,40	9,40	117,60
17	მაწონი	50,00	50,00	1,40	1,60	2,35	29,40
18	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	35,00	35,00	3,50	7,00	0,98	80,92
19	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	30,00	30,00	0,78	3,00	1,14	34,68
20	ყველი წათხის	14,00	8,60	1,10	1,23		15,46
ცხიმი							
21	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	12,00	12,00		11,99		107,89
22	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	35,00	35,00		25,40		228,60
ბოსტნეული							
23	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
24	კომბოსტო	90,00	67,50	1,26		2,81	16,28
25	ჭარხალი	30,00	27,00	0,45		2,70	12,59
26	სტაფილო	80,00	64,00	1,13		7,04	32,69
27	ხახვი	34,00	30,60	0,48		2,91	13,56
28	ნიორი	1,00	0,92				0,00
29	მწვანელი	15,00	12,75				0,00
ხილი							
30	ხილი (სხვადასხვა)	300,00	258,00			30,96	123,84
სხვა							
31	კვერცხი (ცალობით)	0,86	41,28	5,24	4,75		63,70
32	ნამცხვარი	10,00	10,00	0,80	0,80	7,00	38,40
33	შაქარი	40,00	40,00			39,60	158,40
34	მარილი	7,00	7,00				0,00
35	ჩაი	2,00	2,00				0,00
36	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
37	ხილის წვენი	30,00	30,00	0,20		5,19	21,55
38	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19



39	საფუარი	0,30	0,30				0,00
სულ		-	-	117,95	100,49	502,91	3387,81

თ) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

N	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	100,00	100,00	7,90	1,00	49,60	239,00
2	პური ჭვავის ან რუხი	200,00	200,00	13,20	2,40	68,40	348,00
პარკოსნები							
3	ბარდა	10,00	10,00	2,00	0,20	4,80	29,00
ბურღულეული							
4	ბურღული (ქერის, წიწიბურა)	150,00	150,00	16,17	4,71	83,85	442,47
5	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	15,00	15,00	1,80	0,93	9,30	52,77
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
6	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	100,00	75,00	13,95	12,98		172,58
7	ქათმის ხორცი	75,00	54,00	9,99	8,59		117,23
8	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
9	თევზის ფილე (დაბალცხიმოვანი-3%)	70,00	64,40	9,97	5,60		90,24
რძე და რძის პროდუქტები							
10	მაწონი	200,00	200,00	5,60	6,40	9,40	117,60
11	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	150,00	150,00	15,00	30,00	4,20	346,80
12	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	20,00	20,00	0,52	2,00	0,76	23,12
13	ყველი წათხის	30,00	18,42	2,36	2,63		33,14
ცხიმი							
14	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	20,00	20,00		19,98		179,82
15	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	30,00	30,00		21,77		195,94
ბოსტნეული							



16	კარტოფილი	175,00	126,00	2,65	0,50	19,66	93,74
17	კომბოსტო	120,00	90,00	1,68		3,74	21,71
18	ჭარხალი	40,00	36,00	0,60		3,60	16,79
19	სტაფილო	150,00	120,00	2,12		13,20	61,30
20	ხახვი	53,00	47,70	0,75		4,53	21,14
21	ნიორი	2,00	1,84				0,00
22	მწვანილი	25,00	21,25				0,00
ხილი							
23	ხილი (სხვადასხვა)	200,00	172,00			20,64	82,56
სხვა							
24	კვერცხი (ცალობით)	0,86	41,28	5,24	4,75		63,70
25	დამატკობლები	10,00	10,00				0,00
26	მარილი	5,00	5,00				0,00
27	ჩაი	2,00	2,00				0,00
28	ტომატ-პასტა	5,00	5,00			0,89	3,54
სულ		-	-	114,19	129,02	296,76	2804,98

ი) დაწესებულებებში კუჭ-ნაწლავის დაავადების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი

N	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	5,00	5,00	0,50	0,07	3,45	16,39
3	საფანელი	3,00	3,00	0,24	0,03	1,50	7,23
ბურღულეული							
4	ბურღული (ქერის, წიწიბურა)	75,00	75,00	8,09	2,36	41,93	221,24
5	ბრინჯი	15,00	15,00	1,11	0,47	9,35	46,06
მაკარონის ნაწარმი							
6	ვერმიშელი	11,50	11,50	1,05	0,10	7,31	34,37
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
7	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	70,00	52,50	9,77	9,08		120,80



8	ქათმის ხორცი	30,00	21,60	4,00	3,43		46,89
9	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
10	თევზის ფილე	35,00	32,20	4,98	2,80		45,12
რძე და რძის პროდუქტები							
11	რძე შესქელებული	17,20	17,20	1,20	1,40	1,69	24,12
12	მაწონი	100,00	100,00	2,80	3,20	4,70	58,80
13	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	100,00	100,00	10,00	20,00	2,80	231,20
ცხიმი							
14	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	10,00	10,00		9,99		89,91
15	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	30,00	30,00		21,77		195,94
ბოსტნეული							
16	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
17	ჭარხალი	30,00	27,00	0,45		2,70	12,59
18	სტაფილო	80,00	64,00	1,13		7,04	32,69
19	მწვანილი	15,00	12,75				0,00
ხილი							
20	ხილი (სხვადასხვა)	100,00	86,00			10,32	41,28
21	ხილფაფა	8,60	8,60			6,03	24,11
22	ხმელი ხილი (ჩირი, ასკილი)	12,00	12,00	0,19		4,80	19,97
სხვა							
23	კვერცხი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
24	შაქარი	30,00	30,00			29,70	118,80
25	მარილი	5,00	5,00				0,00
26	ჩაი	2,00	2,00				0,00
27	კაკაო	1,50	1,50	0,30	0,20	0,40	4,55
28	ტომატ-პასტა	4,50	4,50			0,80	3,19
სულ		-	-	95,90	87,86	422,01	2862,39

კ) დაწესებულებებში ღვიძლის დაავადების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

		რაოდენობა,გ	ქიმიური შემადგენლობა,გ	
--	--	-------------	------------------------	--



N	პროდუქტის დასახელება						ენერგეტიკული ღირებულება კვალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	პური ხორბლის	500,00	500,00	39,50	5,00	248,00	1195,00
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	5,00	5,00	0,50	0,07	3,45	16,39
3	კარტოფილის ფქვილი	14,30	14,30	0,01	0,00	11,04	44,20
ბურღულეული							
4	ბრინჯი	18,20	18,20	1,35	0,57	11,34	55,88
მკარონის ნაწარმი							
5	მკარონი	12,00	12,00	1,10	0,10	7,20	34,06
6	ვერმიშელი	11,50	11,50	1,05	0,10	7,31	34,37
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
7	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	80,00	60,00	11,16	10,38		138,06
8	ქათმის ხორცი	60,00	43,20	7,99	6,87		93,79
9	სოსისი	22,80	22,80	2,69	4,58	0,20	52,80
თევზეული							
10	თევზის ფილე	35,00	32,20	4,98	2,80		45,12
რძე და რძის პროდუქტები							
11	რძე შესქელებული	17,20	17,20	1,20	1,40	1,69	24,12
12	მაწონი	150,00	150,00	4,20	4,80	7,05	88,20
13	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი) დაბალცხიმოვანი	150,00	150,00	31,20	9,00	4,20	222,60
14	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	25,00	25,00	0,65	2,50	0,95	28,90
ცხიმი							
15	მცენარეული ცხიმი (ზეთები)	30,00	30,00		29,97		269,73
16	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	20,00	20,00		14,51		130,63
ბოსტნეული							
17	კარტოფილი	350,00	252,00	5,29	1,01	39,31	187,49
18	ჭარხალი	30,00	27,00	0,45		2,70	12,59
19	სტაფილო	80,00	64,00	1,13		7,04	32,69
20	ხახვი	27,00	24,30	0,38		2,31	10,77
21	ნიორი	1,00	0,92				0,00



22	მწვანილი	15,00	12,75				0,00
ხილი							
23	ხილი (სხვადასხვა)	150,00	129,00			15,48	61,92
სხვა							
24	კვერცხი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
25	შაქარი	50,00	50,00			49,50	198,00
26	მარილი	5,00	5,00				0,00
27	ჩაი	2,00	2,00				0,00
	სულ	-	-	117,45	96,03	418,77	3009,15

ლ) სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პოსტოპერაციულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება

N	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა,გ		ქიმიური შემადგენლობა,გ			ენერგეტიკული ღირებულება კკალ
		ბრუტო	ნეტო	ცილები	ცხიმები	ნახშირწყლები	
1	ორცხობილა თეთრი	7,20	7,20	0,74	0,11	4,64	22,49
2	ხორბლის ფქვილი I ხარისხის	3,00	3,00	0,30	0,04	2,07	9,83
3	კარტოფილის ფქვილი	14,30	14,30	0,01	0,00	11,04	44,20
ბურღულეული							
4	წიწიბურა	42,00	42,00	4,53	1,32	23,48	123,89
5	შვრიის ფანტელი "ჰერკულესი"	21,00	21,00	2,52	1,30	13,02	73,88
6	ბრინჯი	21,00	21,00	1,55	0,66	13,08	64,48
ხორცი და ხორცის პროდუქტები							
7	საქონლის ხორცი (I კატეგორიის)	70,00	52,50	9,77	9,08		120,80
8	ქათმის ხორცი	30,00	21,60	4,00	3,43		46,89
რძე და რძის პროდუქტები							
9	რძე ნატურალური	100,00	100,00	2,80	3,20	4,70	58,80
10	ხაჭო (ან ხაჭოსმაგვარი)	50,00	50,00	5,00	10,00	1,40	115,60
11	არაჟანი (ან არაჟნისმაგვარი)	30,00	30,00	0,78	3,00	1,14	34,68
ცხიმი							
12	ცხოველური ცხიმები (კარაქი)	10,00	10,00		7,26		65,31



ბილი							
13	ბილი (სხვადასხვა)	150,00	129,00			15,48	61,92
სხვა							
14	კვერცი (ცალობით)	0,43	20,64	2,62	2,37		31,85
15	შაქარი	22,00	22,00			21,78	87,12
16	მარილი	3,00	3,00				0,00
17	ჩაი	1,00	1,00				0,00
	სულ	-	-	34,62	41,77	111,83	961,74

2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანისას დღიური სასურსათო პაკეტი განისაზღვრება დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, ინდივიდუალურად, იმ დღიურ სასურსათო ნორმებზე დაყრდნობით, რომელსაც ღებულობს ბრალდებული/მსჯავრდებული მოცემულ პერიოდში.

3. ერთი პროდუქტის სხვა პროდუქტით ჩანაცვლებისას შეიძლება ძირითადი პროდუქტების შემდეგი სახით ჩანაცვლება:

№	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა (გ)		გარდა ამისა შეიცვალს პუნქტის ნომრით
		შესაცვლელი პროდუქტი	ჩანაცვლადი პროდუქტი	
1	პური ჭვავისა და I ხარისხის ხორბლის შერეული ფქვილისაგან შეიცვალს:	100		
	- ორცხოზობილათი ჭვავის შუმი ფქვილისაგან;		60	
	ხორბლის შუმი ფქვილისაგან და II ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან;			
	- გალექებით ხორბლის შუმი და II ხარისხის ფქვილისაგან;		60	
	- ჭვავის ფქვილით;		42	
	- ხორბლის ფქვილით I ხარისხის;		28	
	- პურით II ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან;		95	
	- თეთრი პურით I ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან;		90	
2	- ხანგრძლივი შენახვის კონსერვირებული პურით.		100	
	პური თეთრი I ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან შეიცვალს:	100		
	- ორცხოზობილათი, ხორბლის I ხარისხის ფქვილისაგან;		65	
	- ფქვილით, ხორბლის I ხარისხის;		75	
	- გალექებით, I ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან;		65	



	- ფეკლით, ხორბლის უმაღლესი ხარისხის;		65	
	- გალექებით, ციმის შემცველობით;		35	
	- ვაფლით;		55	
	- პურის ბატონით, ხორბლის I ხარისხის ფეკლისაგან;		95	
	ჭვავის პურით		110	
	- პურით, უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფეკლისაგან;		85	
	- პურით, II ხარისხის ხორბლის ფეკლისაგან;		105	
	- ხანგრძლივი შენახვის კონსერვირებული პურით.		100	
3	ხორბლის ფეკლი- I ხარისხის შეიცვალს:	100		
	- ბრინჯით;		100	
	- მაკარონის ნაწარმით;		100	
	- მანანის ბურღულით;		100	
	- ფეკლით, ხორბლის უმაღლესი ხარისხის;		85	
4	ბურღულეული სხვადასხვა (პარკოსნები) შეიცვალს:	100		
	- ბრინჯით;		100	
	- მაკარონის ნაწარმით;		100	
	- ბურღულეულის, ბურღულისა და ბოსტნეულის, ბურღულისა და ბოსტნეულის კონცენტრატებით;		100	
	- ფეკლით, ხორბლის II ხარისხის;		100	
	- კარტოფილით;		500	
	- ახალი ბოსტნეულით;		500	
	- დამწნილებული ბოსტნეულით;		500	
	- გამხმარი ბოსტნეულით და კარტოფილით ან კარტოფილის მშრალი პიურეთი;		75	
	- სუბლიმაციური შრობის ბოსტნეულითა და კარტოფილით;		100	
	- ნატურალური, დამწნილებული და პასტერიზებული ბოსტნეულისა და ბურღულეულის კონსერვებით (თხევადი შიგთავსის ჩათვლით) ;		500	
	- ბოსტნეულის უხორცო კონსერვებით I თავი კერძებისათვის;		375	
	- შესაზავებელი ბოსტნეულის კონსერვებით;		250	



	- ბოსტნეულის სასაუზმე კონსერვებით;		375	
	ბურღულეულისა და ბოსტნეულის გარნირებით:			
	-კარტოფილისა და ბოსტნეულის;		500	
	- ბურღულეულისა და პარკოსნების;		300	
	- მაკარონის ნაწარმით (სწრაფი მომზადების);		100	
	- კონცეტრანტებით,, რომლებიც არ საჭიროებენ მოხარშვას, ბრიკეტირებული კონცენტრატებით (ბისკეტი);		100	
	სადილის I თავი კერძების კონცეტრანტებით.		100	
5	კარტოფილი, ნედლი ბოსტნეული, დამწნილებული და დამარილებული ბოსტნეული შეიცვალოს:	100		
	ხახვით (იკრძალება პირიქით შეცვლა)		50	
	მწვანე ხახვით*;		100	
	წივით;		25	
	კარტოფილის ფხვნილით		15	
6	საფუარი ჩვეულებრივი შეიცვალოს:	100		
	მშრალი საფუარით (გრანულირებული)		40	
	ფქვილით II ხარისხის		1000	
7	ხორცი- საქონლის, ღორის, ცხვრის შეიცვალოს:	100		
	ძვლიანი ხორცის ბლოკებით		100	
	უძვლო ხორცის ბლოკებით		80	
	ირმის ხორცით		130	
	სუბ პროდუქტებით (I კატეგორიის), მათ შორის ღვიძლით;		100	
	სუბპროდუქტებით (II კატეგორიის)		300	
	გამოშიგნული ფრინველის ხორცით		100	
	გამოუშიგნავი ან ნახევრადგამოშიგნული ფრინველის ხორცით		120	
	სუბლიმაციური ან ტემპერატურის ზემოქმედებით გამომშრალი ხორცით		33	
	მოხარშული ძეხვეულითა და სოსისით		80	
	შებოლილი ხორცის ნაწარმით (შაშხი, რულეტი, ნახევრად შებოლილი ძეხვეული)		60	



	ხორცის კონსერვებით		75	
	ფრინველის ძვლიანი ხორცის კონსერვებით		100	
	თევზით (დამარილებული, გაყინული უთავო		150	
	თევზის კონსერვებით		120	
	მშრალი ყველით;		48	
	ნადნობი ყველით		72	
	შებოლილი ყველით		33	
	ქათმის კვერცხით		2	
8	ძეხვი უმად შებოლილი შეიცვალოს:	100		
	მოხარშული ძეხვით		265	
	ხორცის შებოლილი ნაწარმით (შაშხი, რულეტი, ძეხვი ნახევრად შებოლილი და სხვა.)		200	
	ყველით (მაგარი კვეთის)		160	
9	თევზის ფილე და თევზი უცხიმო, გამოწეილი (გაცივებული, გაყინული ან დამარილებული) შეიცვალოს:	100		
	დამარილებული ან შებოლილი ქაშაყით (თავით)		100	
	დამარილებული ქაშაყით თავის გარეშე		85	
	ყველა სახის თევზით (თავით)		130	
	შებოლილი ან გამოყვანილი (გამხმარი) თევზით		75	
	თევზის ფილეთი		70	
	თევზით, სუბლიმაციური შრობის		33	
	თევზის კონსერვებით		80	
	სასაუზმოდ განკუთვნილი ბოსტნეულის კონსერვებით		120	
10	კარაქი ძროხის შეიცვალოს:			
	კონსერვირებული სტერილიზებული კარაქით		100	
	მშრალი კარაქის კონცენტრატით		70	
11	ცხოველური გადამდნარი, კომბინირებული ცხიმები შეიცვალოს:	100		
	ძროხის კარაქით *		67	
	ზეთით		100	



	ხამის ცხიმით		130	
	გადამდნარი ცხიმით		100	
12	ძროხის რძე** შეიცვალოს:			
	რძის ფხვნილით		15	
	შედეგებული შაქრიანი რძით		20	
	შედეგებული უშაქრო სტერილიზებული რძით		30	
	კაკაო ან ყავა შედეგებული რძითა და შაქრით		20	
	ყველი ნაღნობი, სუბლიმაციური შრობით გამომშრალი		8	
	რძემჟავა პროდუქტებით (მაწონი)		100	
	ნაღებით		20	
	არაჟნით		20	
	ხაჭოთი		30	
	კარაქით		5	
	ყველი კვეთის, მაგარი		12	
	ყველი ნაღნობი		18	
	ქათმის კვერცხით		0,5	
	შედეგებული ნაღები შაქრით		20	
	ბრინჯით		24	
	თევზით (გაცივებული, გაყინული, დამარილებული)		60	
13	კვერცხი ქათმის შეიცვალოს:	1		
	კვერცხის ფხვნილით		15	
	კვერცხის მელანჟით		50	
14	შაქარი შეიცვალოს:	100		
	კარამელით		50	
	მურაბით, ჯემით, ხილფაფით		140	
	მარმელადით		130	
	საკონდიტრო ორცხობილით		100	



	საკონდიტრო ორცხოზილით		100	
	ვაფლით		100	
	ხალვით		120	
	პასტილით		120	
	თაფლით		120	
15	შოკოლადი შეიცვალს:	100		
	კაკაოს ფხვნილით		150	
	შაქრიანი ნატურალური ყავით ან კაკაოთი შედეგებულ რმესთან ერთად		200	
	ნატურალური ყავით		150	
	თაფლით		165	
	შოკოლადის ნაწარმით		100	
	ხალვით		150	
	შოკოლადის დრაჟეით		100	
16	საკონდიტრო ორცხოზილა შეიცვალს:	100		
	გალეტებით, I ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან ან სხვა მსგავსი საკონდიტრო ნაწარმით		100	
	ვაფლით		100	
17	ტომატის პასტა შეიცვალს :	100		
	ტომატის პიურეთი		200	
	ტომატის სოუსით		100	
	ტომატის ფხვნილით ან სხვა მომჟავო ან მომწარო სოუსებით		33	
	ტომატის წვენი, ახალი პომიდვრით, ბოსტნეულით		500	
18	ხილი შეიცვალს:	100		
	კენკრით		100	
	ციტრუსით (მანდარინი, ფორთოხალი)		100	
	საზამთროთი		300	
	ნესვით		200	
	ჩირით		20	



	ხილი და კენკრა სუბლიმაციური შრობის		20	
	კომპოტი კონსერვის		50	
	ხილისა და კენკრის ნატურალური წვენებით		100	
	ხილისა და კენკრის კონცენტრირებული წვენებით (მშრალი ნაშთის არანაკლებ 50 % - იანი შემცველობით)		20	
	ხილისა და კენკრის ექსტრაქტებით		20	
	მურაბით, ხილფაფით, ჯემით		10	
	კისელის კონცენტრატით		17	
	ფხვნილოვანი კონცენტრატი სასმელისათვის		30	
	პასტერიზებული ხილის კონსერვებით		50	
19	ხილისა და კენკრის ნატურალური წვენები შეიცვალოს:	100		
	ბოსტნეულის კონსერვებით, სასაუზმე		50	
	ლიმონმჟავით		0,5	
	და შაქრით		15	
	ტომატის ან სხვა ბოსტნეულის წვენით		300	
	ძროხის რძით		100	
	წვენის მოსამზადებელი მშრალი კონცენტრატებით		15	
20	ხილის ჩირი შეიცვალოს:	100		
	გამაგრილებელი სასმელით		200	
	შაქრით		75	
	და ჩაით		3	
	თხილიანი ჩირით ან ჩურჩხელით		80	
21	კისელის კონცენტრატი შეიცვალოს:	100		
	შაქრით		50	
	და ჩაით		2	
22	ყავა ნატურალური შეიცვალოს:	100		
	ხსნადი ყავით		40	
	ყავიანი სასმელის კონცენტრატით		100	
	კაკაოს ფხვნილით		100	



	I ხარისხის ბაიხის ჩაით		25	
23	ჩაი შავი, ბაიხის შეიცვალს:	100		
	ხსნადი ჩაით		80	
	ყავიანი სასმელის კონცენტრატი		400	
24	მდოგვის ფხვნილი შეიცვალს:	100		
	მდოგვის საწებლით		600	
25	კარტოფილის სახამებელი შეიცვალს:	100		
	კისელის კონცენტრატით		100	
	კარტოფილის ფქვილით		100	
	კარტოფილით*		500	
26	ძმარი ნატურალური შეიცვალს:	100		
	ძმრის ესენციით		5	
	*დასაშვებია პირდაპირი შეცვლა, დაუშვებელია შეცვლა განხორციელდეს პირიქით ან მრავალ საფეხურად;			
	**რადგან სავაჭრო ქსელში რძის გაშვება მომხმარებლისთვის ხდება მისი მოცულობის და არა მასის მიხედვით, წინამდებარე ცხრილში 100სმ ³ რძე პირობითად ჩათვლილია 100 გრ რძედ;			
	***ხილისა და კენკრის ნატურალური წვენების, ასევე კომპოტების შეცვლა კისელის კონცენტრატით დაუშვებელია.			

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ერთობლივი ბრძანება №83/№01-22/ნ - ვებგვერდი, 27.06.2016 წ.

დანართი №2

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და 125-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად და ადგენს მოთხოვნებს პენიტენციურ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისადმი.

2. დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, პატიმრობის კოდექსს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ბრძანებებსა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 2. ზოგადი მოთხოვნები კვების ორგანიზებისადმი



1. წინამდებარე ნორმები შემუშავებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისა და ქმედუნარიანობის შენარჩუნების, ასევე ინფექციური და არაინფექციური დაავადებების წარმოშობისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და განსაზღვრავს კვების ობიექტებისა და ასევე კვების ორგანიზების სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებსა და მოთხოვნებს.

2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია წინამდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა მკაცრი დაცვა.

მუხლი 3. კონტროლი დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე

1. დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის შესაბამისი პერსონალი ან ექიმი.

2. დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის შესაბამისი პერსონალი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს:

ა) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი საკვების ხარისხი და ოდენობა, მათი მომზადების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

ბ) დაწესებულების ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტანსაცმლისა და საწოლის თეთრეულის მდგომარეობა და სეზონის პირობებთან შესაბამისობის დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობოს დაწესებულების ადმინისტრაციას.

2¹. ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გადასაცემი საკვები პროდუქტების ხარისხის შემოწმების მიზნით, კვების ბლოკის შესაბამისი თანამშრომელი ვალდებულია აიღოს სინჯი ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გადასაცემი მიმდინარე დღის საკვებიდან. სინჯს ამოწმებს და ხელმოწერით ადასტურებს ექიმი/ექთან. აღნიშნული სინჯი შენახულ უნდა იქნეს ადებიდან 48 საათის განმავლობაში.

2². საკვების მომზადებასთან უშუალო შეხებაში მყოფი პერსონალი ვალდებულია დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. მათ უნდა ეცვათ შესაფერისი, სუფთა და საჭიროების შემთხვევაში, დამცავი ტანსაცმელი (ხელთათმანი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი). საკვების მომზადებასთან უშუალო შეხებაში მყოფი პერსონალი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შევსებული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წარუდგინოს კვების ბლოკის მენეჯერს ექვს თვეში ერთხელ პერიოდულობით. თუ პირი ინფიცირებულია ისეთი დაავადებით, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათის/საკვების მეშვეობით (მაგალითად, აქვს ინფიცირებული ჭრილობა, კანის ინფექცია, წყლული და სხვ.) ან არსებობს საკვების პირდაპირი ან არაპირდაპირი დაბინძურების შესაძლებლობა, ეს პირი ჩამოშორდება საკვების მომზადების პროცესს.

2³. საკვების მომზადების პროცესში, ასევე საკვები პროდუქტების შენახვისა და დამუშავების, ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის საკვების გადაცემის ადგილას თამბაქოს მოწევა დაუშვებელია.

2⁴. დაუშვებელია დაწესებულებაში ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პროდუქტისა და საკვებად ვარგისი პროდუქტების ერთად მოთავსება.

3. საექიმო-სამედიცინო პუნქტის შესაბამისი პერსონალი ვალდებულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობოს დაწესებულების ადმინისტრაციას.

4. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გამოვლენილ დარღვევათა საკუთარი ძალებით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მოხსენებითი ბარათით მიმართოს პენიტენციური დეპარტამენტს. მოხსენებით ბარათს უნდა დაერთოს საექიმო-სამედიცინო პუნქტის შესაბამისი პერსონალის ან ექიმის წერილი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ერთობლივი ბრძანება №83/№01-22/6 - ვებგვერდი, 27.06.2016 წ.

მუხლი 4. დაწესებულებაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების სანიტარიულ-ჰიგიენური უზრუნველყოფა



1. დაწესებულებაში მყოფ პირთა სათავსების არქიტექტურულ-ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა და აღჭურვა უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, პირადი ჰიგიენის დაცვის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობის შესაძლებლობას ადამიანის პატივისა და ღირსების შეუღალხავად, რაც გულისხმობს:

ა) ხარისხიანი, უსაფრთხო და საკმარისი სასმელი წყლით უზრუნველყოფას (არანაკლებ 2,5 ლიტრი ერთ პირზე დღეში);

ბ) პირადი ჰიგიენის წესების (ხელ-პირის დაბანა, პირის ღრუს ჰიგიენური დამუშავება, სხეულის დაბანა არანაკლებ კვირაში ერთხელ, საპარიკმახერო მომსახურება: პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) შესრულებისათვის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ცენტრალიზებულ ქსელთან მიერთებული, შესაბამისად აღჭურვილი სანიტარიულ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით და ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი) უზრუნველყოფას;

გ) საწოლითა და ლოგინით (ლეიბი, ბალიში, საბანი) უზრუნველყოფას;

დ) სუფთა თეთრეულით არანაკლებ კვირაში ერთხელ უზრუნველყოფას, აგრეთვე, სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლის მიწოდებასა და ცვლას დაბინძურების მიხედვით;

ე) მიკროკლიმატის ოპტიმალურ დაცვას სათავსებში (18-25 C⁰);

ვ) ბუნებრივ და ხელოვნურ განათებას, ვენტილაციას;

ზ) ნარჩენების შეგროვებისა და დროული გატანის უზრუნველყოფას;

თ) სათავსების ყოველდღიური დასუფთავების, ავეჯისა და ფანჯრების ყოველკვირეული წმენდის, ოთახებისა და კვების ბლოკების პერიოდული სავალდებულო სადენზიფიკციო, სადენზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ორგანიზებას;

ი) სათავსის აღჭურვას საერთო სარგებლობის ავეჯით (მაგიდა, სკამი, ტუმბო, კარადა და სხვ.);

კ) პერიოდული სამედიცინო შემოწმების, პროფილაქტიკური აცრების და სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებას.

2. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვანებს, ავადმყოფებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა შეექმნათ შესაფერისი საყოფაცხოვრებო და კვების პირობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. ქალი ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, როგორცაა ჰიგიენური საფენების მიწოდება, სხვა ჰიგიენური საშუალებებისა და მათი განთავსების (გადაყრის) არსებობა.

4. დაუშვებელია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის თმების მთლიანი გადაპარსვის იძულება, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ერთობლივი ბრძანება №83/№01-22/ნ - ვებგვერდი, 27.06.2016 წ.

